წერილის ნომერი: **14-1422220317**
თარიღი: **08/08/2022**

ადრესატი: ზაზა ჭაღალიძე
პირადი ნომერი: 46001021747
მისამართი: ჩოხატაური ს. ქვაბღა

ბატონ ზაზა ჭაღალიძეს

საქართველო, ჩოხატაური ს. ქვაბღა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 04.08.2022 N1422216498-06 განცხადებით მომართა რამინ აბუსელიძემ და მოითხოვა ქალაქი ბათუმი, დასახლება გონიო; ქალაქი ბათუმი, ქუჩა სვიმონ კანანელი, N 58-ის მიმდებარედ მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: N05.36.29.633, ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, წარმოდგენილი არქიტექტურული ესკიზის შეთანხმება - დეტალური შეტყობინების მიღების წესით.

საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 94-95-ე მუხლების, ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 23-24 მუხლების და ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ'' ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის N12 დადგენილების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია რამინ აბუსელიძის სახელზე, ადასტურებს მშენებლობის შესაძლებლობას - ქალაქი ბათუმი, დასახლება გონიო; ქალაქი ბათუმი, ქუჩა სვიმონ კანანელი, N 58-ის მიმდებარედ მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: N05.36.29.633, ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, წარმოდგენილი არქიტექტურული ესკიზის შესაბამისად. წინამდებარე დეტალური შეტყობინება წარმოადგენს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს და საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი''-ს 94-ე მუხლის შესაბამისად უთანაბრდება მშენებლობის ნებართვას და მისი მოქმედების ვადა შეადგენს ერთ წელს.

დამატებით განგიმარტავთ, რომ მშენებლობის/რეკონსტრუქციის შემთხვევაში წინამდებარე ნებართვის მფლობელი ვალდებულია მკაცრად და ზუსტად დაიცვას შენობა/ნაგებობის კონსტრუქციული სიმტკიცე, მდგრადობა და საიმედოობა, სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების დროს ნაგებობის ცალკეულმა ნაწილებმა, მათი შეერთების კვანძებმა, ობიექტის საძირკველმა არ

უნდა განიცადოს რღვევა და შეინარჩუნოს სიმტკიცე, მდგრადობა და წონასწორობა, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციებისა და საინჟინრო სისტემების საიმედოობა შენარჩუნებული, მაქსიმალურად დაცული უნდა იქნას ტექნიკური რეგლამენტებით და საექსპერტო დასკვნით დადგენილ მოთხოვნები. მითითებული მოთხოვნების შეუსრულებლობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს

მშენებლობის წარმოების დროს მუნიციპალური/სახელმწიფო ქონების დაზიანების შემთხვევაში, დაუყონებლივ უნდა მოახდინოთ დაზიანების აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება ჩაითვლება სანებართვო პირობის დარღვევად, რაც გამოიწვევს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი